



პროტოკოლი: ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, 19 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში წოდებული, როგორც სამუშაო ჯგუფი - WG) მიზანია შესაბამისი „პლატფორმის“ შექმნა მთავრობასა და სამრეწველო სექტორს¹ შორის რეგულარული დიალოგის წარმართვისთვის, რათა მათ ერთობლივად განიხილონ და განსაზღვრონ გადაწყვეტილებები იმ გამოწვევებზე, რომლებიც თან ახლავს ენერგოეფექტურობის შესახებ საქართველოს ახალი კანონის (და ევროკავშირის ასოცირებული დირექტივების) იმპლემენტაციას მთავრობის, სამრეწველო კომპანიებისა და მათი საქმიანობის მიმართ. წინამდებარე პროტოკოლი აჯამებს მთავრობასა და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის შინაარსსა და შედეგებს, რომელთა მიზნებსაც წარმოადგენდა:

1. მთავრობასა და სამრეწველო სექტორს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების თაობაზე სტრუქტურული დიალოგის დაწყება;
2. მსხვილ კომპანიებსა და მთავრობასთან ნებაყოფლობით შეთანხმებებში მონაწილეობის სტიმულირების სქემების განხილვა;
3. სამრეწველო სექტორების წარმომადგენლებისთვისა და დამსწრე კომპანიებისთვის თხოვნით მიმართვა, ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით პირველი საპილოტე ნებაყოფლობითი სქემის შემუშავების პროცესში მონაწილეობის ვალდებულების აღების თაობაზე.

ადგილი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2.

ჯამში შეხვედრას დაესწრო 18 მონაწილე: 7 - სამთავრობო უწყებებიდან, 9 - კომპანიებიდან და 2 - ენერგოეფექტურობის მხარდამჭერი ორგანიზაციებიდან. გთხოვთ, იხილოთ დანართი 1 მონაწილეთა სრული ჩამონათვალისთვის.

მარტი 2020 | UNIDO-ს ინდუსტრიული ენერგოეფექტურობის პროექტის (IEE) - „სათბურის გაზების ემისიების შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზით“ - ფარგლებში.

¹ ტერმინი “მრეწველობა” აქ გამოიყენება სამუშაო ჯგუფის კონტექსტში უფრო ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს კომპანიებს როგორც ტრადიციული წარმოების და გადამამუშავების სექტორიდან, ასევე ენერგო სექტორიდან და სხვა კომერციული სექტორებიდან, მსხვილ კომპანიებსა და ენერგო მომხმარებლებთან ერთად.



1. ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე მთავრობის - სამრეწველო სექტორის (G-I) სამუშაო ჯგუფის (WG) შესახებ ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებისა და მცდელობების მიზეზით, უკანასკნელ წლებში ენერგოეფექტურობის საკითხები საქართველოს მთავრობის პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში მოექცა და ძალიან მალე (2020 წლის მარტი/აპრილში) ენერგოეფექტურობის შესახებ საქართველოს ახალი კანონი დაასრულებს მისი შემუშავების პროცესს და საკანონმდებლო დოკუმენტად ჩამოყალიბების გზას. საქართველოში განხორციელებულმა UNIDO-ს ინდუსტრიული ენერგოეფექტურობის (IEE) პროექტმა უზრუნველყო მნიშვნელოვანი პირდაპირი დახმარება კანონის იმ მუხლების შემუშავებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მრეწველობასა და მასთან დაკავშირებული ენერგოეფექტურობის მომსახურების ბაზარზე. ენერგოეფექტურობის შესახებ (EE) კანონი წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და ენერგოეფექტურობის საკითხებით დაინტერესებული მხარეების უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევას. ამავდროულად, ამოქმედების შემდგომ, კანონი იქნება არა სამუშაოების დასრულება, არამედ კანონის იმპლემენტაციის ახალი ეტაპის დასაწყისი, პროგრამებისა და მეორადი კანონმდებლობის შემუშავების გზით, რაც უზრუნველყოფს და მხარს დაუჭერს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. პარლამენტში წარმოდგენილი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს მიმდინარე კანონპროექტის 21-ე მუხლში ნათქვამია:


„ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი - მუხლი 21. მრეწველობაში ენერგოეფექტურობის წამახალისებელი პოლიტიკის დამატებითი ღონისძიებები

1. მრეწველობაში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, მთავრობასთან შეთანხმებით სამინისტრო უფლებამოსილია გააფორმოს ნებაყოფლობითი შეთანხმებების თაობაზე ხელშეკრულება საწარმოსთან. ნებაყოფლობითი შეთანხმების გაფორმებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ენერგომომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
2. სამინისტრო აფასებს ნებაყოფლობითი შეთანხმების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე საწარმოს მიერ შემოთავაზებული სამიზნე მაჩვენებლების ოდენობებს. საჭიროების შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული სამიზნე მაჩვენებლები არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, სამინისტროს უფლება აქვს დააწესოს ისეთი სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც განაპირობებენ საწარმოში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას
3. ნებაყოფლობითი შეთანხმების მხარე - საწარმო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს სამთავრობო, მათ შორის, სამინისტროს დახმარება, ენერგოაუდიტის, ენერგომენეჯმენტის სისტემისა და ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ინდივიდუალური ღონისძიების განსახორციელებლად.
4. სამინისტრო უფლებამოსილია შეიმუშაოს ნებაყოფლობითი შეთანხმების მომზადების საფუძველები და ზოგადი დებულებები.



ნებაყოფლობითი შეთანხმებების ძირითად არსს წარმოადგენს ისეთი პროგრამების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიების მოტივირებას არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულზე უკეთ მოქმედებისთვის. სანაცვლოდ მონაწილე კომპანიები მიიღებენ გარკვეულ სარგებელს ან უპირატესობას. სამრეწველო ენერგოეფექტურობის (IEE) პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებულმა საერთაშორისო და განსაკუთრებით ევროკავშირის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მთავრობისა და სამრეწველო სექტორისთვის (და შესაბამისად სხვა ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლებისთვის) ყველაზე ეკონომიური ზომების და პროგრამების იდენტიფიცირების მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გამოწვევების ერთობლივად განხილვა და ჩართული მხარეების მჭიდრო თანამშრომლობა საუკეთესო გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

ამგვარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემები წარმოადგენდა IEE-ს ერთ-ერთ პოლიტიკას, რომლის საფუძველზეც UNIDO-ს IEE პროექტმა უზრუნველყო მიზანმიმართული პოპულარიზაცია, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მხარდაჭერა, რიგი ტრენინგებისა და ღონისძიებების საშუალებით, რომელთაგან ყველაზე ბოლო ღონისძიებას წარმოადგენდა „ენერგოეფექტური ნებაყოფლობითი შეთანხმებების საკითხებზე მომუშავე მთავრობის - სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა“, რომელიც გაიმართა თბილისში, 2020 წლის 19 თებერვალს. აღნიშნული შეხვედრით დაიწყო პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი შეთანხმებების (VA) სქემის შემუშავებას და გათვლილია, როგორც მსხვილ საწარმოებზე, ასევე მრეწველობის სექტორში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებზე და სხვა ენერჯის საკვანძო მომხმარებელ სექტორებზე საქართველოში. სურათი 1-ზე იხილეთ ნებაყოფლობითი შეთანხმების (VA) სქემის პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შეხვედრების პროცესის მიმოხილვა.



სურ. 1 EE VA სქემის პროექტის შემუშავების პროცესი (აღნიშნული საჭიროებს გადასინჯვას²)

მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფი ორიენტირებულია ქართულ მსხვილ საწარმოებზე (მაგ., პირველი კატეგორიის საწარმოები და მსხვილი საწარმოები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტების მიხედვით და ელექტროენერჯის რეგულაციების შესაბამისად, პირდაპირი მომხმარებლები), თუმცა ის ასევე ღიაა მცირე და საშუალო საწარმოებისთვისაც.

ენერგოეფექტურობის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, პირველი კატეგორიის საწარმო განისაზღვრება შემდეგნაირად:

‘პირველი კატეგორიის საწარმო’ - საწარმო, რომლის მაჩვენებლები აკმაყოფილებს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს წლიური საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:

- აქტივების საერთო ღირებულება აღემატება 50 მილიონ ლარს;
- შემოსავალი აღემატება 100 მილიონ ლარს;
- თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა აღემატება 250-ს საანგარიშო პერიოდში.

² EE VA სქემის პროექტის შემუშავების პროცესის ვადები უნდა გადასინჯოს, COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე. მოსალოდნელია პროცესის გაგრძელება 2020 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში.

2. ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის პროტოკოლი 20 წლის 19 თებერვალი

მისასალმებელ სიტყვაში, ბატონმა დავით თვალაბეიშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების (MOESD) მინისტრის მოადგილემ, ხაზი გაუსვა მთავრობისა და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის მნიშვნელობას და გამოთქვა მტკიცე მხარდაჭერა ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების არჩევასთან დაკავშირებით, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ენერგოეფექტურობის საკითხებზე, როგორც იმ პოლიტიკურ ღონისძიებაზე, რომელიც პირველი დამუშავდება. ბატონმა თვალაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და ენერგო დანაზოგების გარეშე, საქართველო მომავალში ვერ შეძლებს ენერგიაზე მხარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ერთის მხრივ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვა მრეწველობის სექტორში, ხოლო მეორეს მხრივ, ენერგოეფექტურობის თემებთან დაკავშირებით ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლება.

ქალბატონმა მაია ცხვარაძემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლიმატის ცვლილების სამმართველოს წარმომადგენელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა ენერგოეფექტურობის მნიშვნელობას კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად. ამჟამად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MOEPA) მუშაობს მრეწველობის სექტორთან CO₂-ის შესამცირებლად და, როგორც მან აღნიშნა, თანამშრომლობა ორივე სამინისტროს - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ძალიან მნიშვნელოვანია და წარმატებული ერთობლივი ძალისხმევები უნდა განხორციელდეს ერთად.

UNIDO-ს წარმომადგენელმა - ბატონმა მარკო მატეინიმ ისაუბრა ნებაყოფლობითი შეთანხმების (VA) სქემებთან დაკავშირებით არსებული გარკვეული საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო დონეზე ნებაყოფლობითი შეთანხმების არსებული სქემების უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია მრეწველობის სექტორზე (ინდივიდუალური საწარმოები ან ფილიალები), თუმცა ნებაყოფლობითმა შეთანხმებებმა შესაძლებელია ასევე მოიცვას მრეწველობის სხვა სექტორებიც. ნებაყოფლობითი შეთანხმებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს როგორც მსხვილ, ასევე მცირე და საშუალო საწარმოებს. ნებაყოფლობითი შეთანხმებები წარმოადგენს ხელშეკრულებებს მთავრობას/ადგილობრივ ხელისუფლებას (საჯარო) და სამრეწველო საწარმოებს ან ფილიალებს (კერძო) შორის, რაც მოიცავს შეთანხმებულ მოქმედებებს და/ან მიზნებს. ნებაყოფლობითი შეთანხმებების გაფორმება ხელს შეუწყობს მთავრობასა და სამრეწველო სექტორს შორის ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბებას. ნებაყოფლობითი შეთანხმებების ჩვეულებრივი ვადა ორიდან ათ წლამდე მერყეობს, მათი ტიპისა და სამუშაოს შეთანხმებული მასშტაბის მიხედვით. მარკო მატეინიმ აღნიშნა, რომ საქართველოსთვის განსახორციელებლად შეირჩა ნებაყოფლობითი შეთანხმების მიზანზე დაფუძნებული სქემა, როგორც ეს ასახულია ენერგოეფექტურობის შესახებ კანონპროექტის 21-ე მუხლში. ამ ტიპის ნებაყოფლობითი

შეთანხმება მოითხოვს მონაწილე კომპანიების მიერ ენერგოეფექტურობის გაზომვადი მიზნების მიღწევას; მაგალითად, $x\%$ ენერგო დანაზოგი საბაზისო სცენართან შედარებით ან $y\%$ ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება n წლების განმავლობაში. ბატონმა მატეინიმ ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირში განხორციელებული ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების უმრავლესობა საჭიროებდა/ ითვალისწინებდა ენერჯის მართვის სისტემების ეროვნული ან საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, მაგ. ISO 50001 სტანდარტის. კომპანიებისთვის საკმარისად მიმზიდველი სტიმულის შეთავაზება ნებაყოფლობით შეთანხმებაში მონაწილეობის მისაღებად და ენერგოეფექტურობის კუთხით მეტის გასაკეთებლად წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს. ევროკავშირში ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემების მონაწილე კომპანიების მიმართ შეთავაზებული ზოგადი სტიმულებია:

- ენერჯის გადასახადებთან დაკავშირებული სტიმულები: ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემის მონაწილე კომპანიებისთვის სტიმული შეიძლება იყოს ენერჯისთან დაკავშირებული გადასახადის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება ნებაყოფლობითი შეთანხმებების ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებული ღონისძიებები/ვალდებულებები არ განხორციელდება ან დასახული მიზნები არ მიიღწევა, მაშინ გადასახადის ანაზღაურება შეუძლებელი იქნება.
- სხვა ფინანსურ სარგებელთან დაკავშირებული სტიმულები: მაგალითად, სუბსიდირებული ენერგო აუდიტები, ექსპერტის უსასყიდლო დახმარება ან სუბსიდიები ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად, ენერჯის მართვის სისტემების ჩათვლით.
- სტიმულები, რომლებიც შედგება არაფულადი მხარდაჭერისგან: მაგალითად, კომპანიები მიიღებენ უფრო მეტ აღიარებას მთავრობისგან.
- ინფორმირებულობა, ცოდნა და აღიარება: ცოდნის გაზიარების ღონისძიებები და ქსელები სულ უფრო ხშირ ხასიათს იძენს ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემების ფარგლებში. მრეწველობის სხვადასხვა სექტორში (ფოლადი, ქიმიკა, აგრო-საკვები) ან ერთი და იმავე სექტორში მოქმედ საწარმოებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებამ დაადასტურა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა ენერგოეფექტურობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მთავრობასა და სამრეწველო სექტორს შორის აღიარება შეიძლება იყოს მომგებიანი ორივე დაინტერესებული მხარისთვის.
- ჩვეულებრივ დიფერენცირებულია მსხვილი საწარმოებისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

ბატონი მატეინის შესავალ პრეზენტაციას მოჰყვა ღია ინტერაქტიული დისკუსია მონაწილეებს შორის, რომელსაც გაუძღვა ბატონი გიორგი აბულაშვილი, საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის დირექტორი.

ბ-ნმა აბულაშვილმა წამოიწყო დისკუსია მონაწილეებისთვის შემდეგი კითხვის დასმით: „რა მოლოდინი გაქვთ ნებაყოფლობით შეთანხმებებსა და სტიმულირების სქემებთან დაკავშირებით?“ და მოუწოდა სამრეწველო სექტორის წარმომადგენელ მონაწილეებს

მიეთითებინათ და პრიორიტეტებად დაეყოს თავიანთი კომპანიების ფარგლებში ენერგოეფექტურობის ინტერვენციის სფეროები. სხვადასხვა კატეგორიის ინტერვენციებისთვის (ე.წ. ფლიპჩარტების) და პრიორიტეტული დონეების განსაზღვრისთვის ფერადი სტიკერებისათვის გამოყენებით (**მწვანე = პირველი პრიორიტეტი**, **ყვითელი = მე-2 პრიორიტეტი** და **წითელი = მე-3 პრიორიტეტი**), მონაწილე კომპანიებს მოეთხოვათ სხვადასხვა კატეგორიების მიმართ მათ მიერ მინიჭებული პრიორიტეტების გამოსახვა. თითოეული კომპანიის შედეგები წარმოდგენილი იქნა შემდეგნაირად:

- ფლიპჩარტი 1 – ტექნოლოგიების გაუმჯობესება / დამატება – **4 მწვანე, 3 ყვითელი**
- ფლიპჩარტი 2 – ტექნოლოგიების ჩანაცვლება/განახლება – **1 მწვანე, 2 ყვითელი**
- ფლიპჩარტი 3 – მართვა, ოპტიმიზაცია – **1 მწვანე, 1 ყვითელი, 5 წითელი**
- ფლიპჩარტი 4 – ყველა დანარჩენი, მაგ. ეკოლოგია და ა.შ. – **2 მწვანე, 2 ყვითელი, 2 წითელი**

ენერგოეფექტურობის ინტერვენციის ტიპების პრიორიტეტებად დაყოფამ აჩვენა, რომ კომპანიების უმრავლესობისთვის შესაბამისი მოწყობილობების დამატებით არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას უმაღლესი პრიორიტეტი ენიჭება (4 კომპანია), ხოლო დანარჩენი 3 კომპანიისთვის - აღნიშნული მე-2 პრიორიტეტს წარმოადგენდა. ინტერვენციების იმ კატეგორიას, რომელიც ყველაზე დაბალ პრიორიტეტად იქნა შეფასებული, განეკუთვნებოდა მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებასა და ოპერაციების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული კატეგორია, რომელიც 5 კომპანიამ მე-3 პრიორიტეტად აირჩია.

შემდგომ ამისა ბატონმა აბულაშვილმა მოუწოდა კომპანიებსა და სხვა უწყებების წარმომადგენლებს, დაფიქრებულიყვნენ სტიმულებზე და სთხოვა, მიეთითებინათ „რა სახის მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს სამინისტრომ/სახელმწიფომ, რათა მხარი დაუჭიროს/დაეხმაროს კომპანიებს ენერგოეფექტურობის ინტერვენციების განხორციელებაში“. განსაზღვრული სტიმულების სამი კატეგორიისთვის შედეგები იყო შემდეგი სახის:

- ფლიპჩარტი 1: სტიმულები - ტექნიკური დახმარება
 - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები;
 - ენერგოეფექტური შესყიდვები;
 - ელექტროენერჯის „ერთი დღით ადრე“ ბაზრებზე ტრენინგი და ექსპერტიზა.
- ფლიპჩარტი 2: სტიმულები - ფისკალური ღონისძიებები
 - ელექტროენერჯის / ენერჯის თვითწარმოების დანერგვა;
 - სპეციალური გადასახადების დაწესება თვითწარმოებისთვის: კომპანია, რომელიც თავად უზრუნველყოფს წარმოებას, იხდის გადაცემის/დისპეტჩერიზაციის და სხვა გადასახადებს იმ მომსახურებისთვის, რომლითაც არ სარგებლობს;
 - ელექტროენერჯის ქვითრების ოპტიმიზაცია: ელექტროენერჯის შესახებ ახალი კანონის შესაბამისად მოქმედი კომპანიები (ელექტროენერჯის ბაზარზე) აღნიშნავენ, რომ უნდა მოხდეს ქვითრების გაცემის პროცედურის ოპტიმიზაცია: ისინი მიიღებენ ინფორმაციას ერთი

კვტ.სთ ელექტროენერჯის ღირებულების შესახებ ყოველი კალენდარული თვის დასასრულს, ხოლო ენერჯის მოხმარება და დაგეგმვის პროცედურა იწყება ყოველი კალენდარული თვის დასაწყისში. ასე რომ, კომპანიებს ურჩევნიათ, იცოდნენ ენერჯის საჩვენებელი ხარჯი ყოველი თვის დასაწყისში.

- ფლიპჩარტი 3: სტიმულები – ფინანსური წახალისება / სახსრების მოზიდვა
 - დაბალი საპროცენტო განაკვეთები;
 - კიდევ უფრო გრძელვადიანი სესხები;
 - საგრანტო შენატანები ტექნიკური დახმარების ან კაპიტალის ინვესტიციისთვის;
 - კლიმატის მწვანე ფონდი (GCF) და სხვა საერთაშორისო მრავალმხრივი/ორმხრივი თანხების წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მათა ცხვარაძემ აღნიშნა, რომ EBRD, GCF-თან ერთად, გასცემს სესხებს უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით, მწვანე ქალაქებისთვის სარგებლის სახით, 40-წლიანი ვადით. უნდა შემოწმდეს, გამოიყენება თუ არა აღნიშნული ფონდი სამრეწველო სექტორშიც. საქართველოს კერძო ბანკებმა უნდა ისარგებლონ პირდაპირი წვდომით ამ ტენდერებთან;
 - მსუბუქი და/ან საგრანტო დაფინანსება ადგილზე წარმოების განვითარებისთვის.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე გამართულმა დისკუსიამ აჩვენა, რომ კომერციული დაფინანსების დაბალი საპროცენტო განაკვეთები შეიძლება წარმოადგენდეს სტიმულს. დისკუსიისას ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსხვილი კომპანიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და პრობლემური საკითხია ელექტროენერჯის ღირებულება; კომპანიებს უჭირთ უფრო დაბალი ღირებულების ელექტროენერჯის მოძიება თავიანთი საწარმოო პროცესებისთვის. ხელშეკრულებების გაფორმება ასევე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. ამავდროულად, ელექტროენერჯის ღირებულება გამოითვლება მომდევნო თვის 15 რიცხვში, რაც ასევე პრობლემას უქმნის კომპანიებს. ESCO-ს წარმომადგენელმა ბატონმა გიორგი სირბილაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ელექტროენერჯის „ერთი დღით ადრე“ ბაზარზე განვითარებული უახლესი მოვლენების შესახებ. რამდენიმე კომპანიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს, თუ რა სირთულეებს აწყდებიან ელექტროენერჯის მოთხოვნის რამდენიმე დღით ან კვირით ადრე პროგნოზირებისას (ასევე წარმოების არაგეგმიური შეფერხებების გამო, რაც არც თუ ისე იშვიათია კომპანიებში), ასევე ელექტროენერჯის ღირებულებისა და მომავალი თვეების ბიუჯეტის შეფასებისას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ენერგოეფექტურობისა და მწვანე შესყიდვების მნიშვნელოვან საკითხს. ძირითადად, კომპანიები და ორგანიზაციები იძენენ იაფ აპარატურას ენერგოეფექტურობის და საოპერაციო ხარჯის შეფასების გარეშე, ამავდროულად კანონმდებლობაში თავს იჩენს ხარვეზი მწვანე შესყიდვებთან დაკავშირებით.

აუდიტორიის მხრიდან დასმულ შეკითხვაზე: „*შეიძლება თუ არა, რომ ენერგოეფექტური შესყიდვა იყოს ნებაყოფლობითი შეთანხმებების ნაწილი?*“ ბატონმა მატეინიმ აღნიშნა,

რომ ენერგოეფექტური შესყიდვა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი შეთანხმებების ნაწილი და მიუთითა მანამდე მოყვანილ შვედეთის მაგალითზე. შვედეთის PFE ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემის ფარგლებში, პირველი 2 წლის განმავლობაში მონაწილე კომპანიებმა უნდა ჩაატარონ ენერგო აუდიტი, დანერგონ ენერჯის მართვის სისტემა და შეიმუშაონ შესყიდვისა და დაგეგმვის რუტინული პროგრამები. მომდევნო 3 წლის განმავლობაში კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ EnMS, რუტინული პროგრამები და განახორციელონ ენერგოეფექტურობის ღონისძიებები.

კომპანიებმა მიუთითეს გადასახადებისგან გათავისუფლებაზე, როგორც მიმზიდველ „სატყუარაზე“ ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემაში მონაწილეობისთვის. აგრეთვე აღინიშნა თავისუფალი ეკონომიკური ზონები. დისკუსიისას გამოვლინდა, რომ უამრავ კომპანიას ჯერ არ ჩაუტარებია ენერგო აუდიტი, რათა გაერკვიათ მათი საბაზისო ენერგო კრიტერიუმები და გაუმჯობესების პოტენციალი.

შუადღის სესიის განმავლობაში ავსტრიის ენერგეტიკის სააგენტოს წარმომადგენელმა - ქალბატონმა გაბრიელა ბრენდლმა წარმოადგინა სხვადასხვა მაგალითები იმისა, თუ რა ითვლება საუკეთესო და კარგ პრაქტიკად ავსტრიაში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით. იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა იქნას განხილული არსებული საბაზისო ენერგოეფექტურობის პრაქტიკის დამატებად, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემის შემუშავებაში. ქალბატონმა ბრენდლმა აგრეთვე წარმოადგინა ენერგოეფექტურობის მინიმალური პრაქტიკა, სადაც ავსტრიის კონტექსტში ენერგოეფექტურობის მინიმალურ პრაქტიკას ასევე უწოდებენ თანამედროვე / საბაზისო პრაქტიკას. პირველ რიგში, საქართველომ უნდა განსაზღვროს ენერგოეფექტურობის საფუძვლები კომპანიებისთვის (შესაბამისად, საჭიროა ენერგო აუდიტების შესახებ მეორადი კანონმდებლობა), ხოლო მეორე ეტაპზე საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს, რომელი იქნება ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით უკეთესი პრაქტიკა, რაც ჩაიდება ნებაყოფლობით შეთანხმებებში.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელმა - ქალბატონმა თამარ ცუკილაშვილმა წარმოადგინა ენერჯის მართვის სისტემის (EnMS) დანერგვის მაგალითები თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროს განყოფილებაში. კომპანიამ დანერგა ენერგო პოლიტიკა და დანიშნა ენერგო მენეჯერი. თბილისის სატრანსპორტო კომპანია ამჟამად ახორციელებს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ რამდენიმე პროექტს, კერძოდ, განათების სისტემის მოდერნიზაციას (LED განათებით ჩანაცვლება), სავენტილაციო სისტემების განახლებასა და მეტროს კაბელების სრულ რენოვაციას. კომპანია მუდმივად მუშაობს ენერგოეფექტურობის შესახებ იდეების წახალისებაზე და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებაზე. დისკუსიებში განხილული ენერჯის მართვისა და ეფექტურობისთვის დამატებითი ღონისძიებები ითვალისწინებს:

- თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი მატარებლების შესყიდვას;
- სიხშირეთა გადამყვანებს ესკალატორის ელექტროძრავებისთვის;
- მემანქანების ტრენინგს ეკო-მართვის თაობაზე და დადგენილი მართვის რეჟიმების დაცვას;
- მატარებლებისთვის განკუთვნილი ახალი დეპოების მშენებლობას: შემცირდება მატარებლებების მიერ დასაფარი გარკვეული დისტანცია, რაც გამოიწვევს ელექტროენერჯის დახარჯვისა და ხარჯების დაზოგვას.



თბილისის სატრანსპორტო კომპანიას უკვე აქვს შედეგები EnMS-ISO 50001 სტანდარტის დანერგვის აქტივობებიდან. განათების სისტემის მოდერნიზაციამ ელექტროენერჯის საბაზისო მოხმარების ნახევარი დაზოგა და უზრუნველყო 1.45 წლის ინვესტიციაზე ამონაგების მარტივი განაკვეთი.

დანართი I – მონაწილეთა სია

პარტნიორი ორგანიზაციები			
N	სახელი, გვარი	თანამდებობა	ორგანიზაცია
კომპანიები			
1.	თეიმურაზ გოდერძიშვილი	ადმინისტრაციის უფროსი	რუსთავის ფოლადი
2.	მოჰან კუმარ გოვინდგოვდა	ელექტრული დეპარტამენტის უფროსი	შპს ჯეოსთილი
3.	ალექსანდრე კანაშვილი	ტექნიკური კონსულტანტი	შპს ჯეოსთილი
4.	ლევან ნანობაშვილი	იურისტი	ჯორჯიან მანგანუზ
5.	თამაზ ჩუტკერაშვილი	დირექტორის მოადგილე	შპს ჯი-ემ-თი ჯგუფი
6.	თამარ ცუკილაშვილი	ენერგომომარაგების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ენერგო მენეჯერი	თბილისის სატრანსპორტო კომპანია
7.	ზაალ რუხაძე	ენერგომომარაგების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	თბილისის სატრანსპორტო კომპანია
8.	თემურ ქარსელაძე	შრომის, გარემოსდაცვითი და ტექნიკური უსაფრთხოების ინსპექტორი	ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა
9.	შორენა შოვნაძე	HSE და იურიდიული საკითხების მართვის დეპარტამენტის უფროსი	შპს რუსელოის
ხელისუფლების წარმომადგენლები			
10.	მაია ცხვარაძე	კლიმატის ცვლილების სამმართველო	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
11.	ანნა რუსეიშვილი	მთავარი სპეციალისტი	ფინანსთა სამინისტრო
12.	მარიტა არაბიძე	ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
13.	ნატალია ჯამბურია	ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯიების პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
14.	ირინა ცუხიშვილი	წამყვანი სპეციალისტი	საქართველოს პარლამენტი
15.	მათე თორაძე		ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
16.	ზაზა ჩიხრაძე	ენერგო რეფორმების დეპარტამენტის უფროსი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ენერგოეფექტურობის მხარდამჭერი ორგანიზაციები			
17.	გიორგი სირბილაძე	მთავარი სპეციალისტი	ESCO
18.	მარიამ ბაკურაძე	იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	ESCO